



საქმე N38/83-16

საქმე N120310015001189471



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

28 იანვარი, 2016 წელი

ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

მოსამართლე - შოთა გეწაძე

კერძო საჩივრის ავტორი (განცხადების ავტორი) - თ. თ.-ს წარმომადგენელი მ. ქ.;

მოწინააღმდეგე მხარე - ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია;

დავის საგანი - სარჩელის დაუშვებლობის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ
და განცხადება აღსრულების შეჩერების შესახებ;

გასაჩივრებული განჩინება - ახალციხის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 30
დეკემბრის განჩინება;

საქმის განხილვის ფორმა - ზეპირი მოსმენის გარეშე.

საქმის გარემოებებთან დაკავშირებით გასაჩივრებული
განჩინების დასკვნებზე მითითება:

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 30 დეკემბრის განჩინებით
№1189471-3/224-15წ ადმინისტრაციული საქმის წარმოება შეწყდა (მოსარჩელე - თ.
თ., მოპასუხე - ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია, დავის საგანი -
ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა).

საქმის მასალების შესწავლისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად
პირველი ინსტანციის სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სარჩელი
დაუშვებელია და უნდა შეწყდეს საქმის წარმოება შემდეგ გარემოებათა გამო:



საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ეს კოდექსი განსაზღვრავს საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული საქმეების განხილვისა და გადაწყვეტის საპროცესო წესებს.

ამავე კოდექსის 22-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს შესაბამისად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გაცნობიდან, ასევე ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გამოტანისათვის დადგენილი ვადის გასვლიდან 1 თვის ვადაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სასამართლო, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა, არ მიიღებს სარჩელს ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, თუ მოსარჩელემ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით არ გამოიყენა ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 62-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, გამგეობის/მერიის თანამდებობის პირის, გარდა მუნიციპალიტეტის გამგებლისა/მერიისა, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საჩივრდება გამგებელთან/მერთან და შემდგომ - სასამართლოში კანონით დადგენილი წესით.

პირველი ინსტანციის სასამართლომ განმარტა, რომ **თ. თ.-ს** სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს ბათილად იქნეს ცნობილი ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2015 წლის 2 დეკემბრის



დადგენილება და შესაბამისად ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი NXXXXXX. საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის იმპერატიული მოთხოვნაა, რომ მერიის თანამდებობის პირის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ჯერ საჩივრდება მერთან, ხოლო შემდეგ სასამართლოში. თავად დადგენილებაშიც მითითებულია მისი გასაჩივრების წესი, კერძოდ დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან 15 დღის ვადაში ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერთან. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ რომ მოსარჩელეს დადგენილება არ გაუსაჩივრებია ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერთან, მას არ გამოუყენებია ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა.

ზემოაღნიშნული გარემოებების და საკანონმდებლო ნორმების დეფინიციიდან გამომდინარე სასამართლომ განმარტა, რომ თ. თ.-ს მიერ სასამართლოში წარმოდგენილი სარჩელი არ აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილ დასაშვებობის მოთხოვნებს, ამიტომ საქმის წარმოება უნდა შეწყდეს.

სასამართლომ ასევე მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26²-ე მუხლის მეორე ნაწილზე, რომლის თანახმად, სასამართლო განჩინებით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ იგი არ აკმაყოფილებს ამ კოდექსის 22-ე-25-ე მუხლებით დადგენილ დასაშვებობის მოთხოვნებს. პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას სასამართლო აღნიშნული საფუძველით წყვეტს საქმის წარმოებას პროცესის ნებისმიერ სტადიაზე.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 30 დეკემბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა თ. თ.-ს წარმომადგენელმა მ. ქ.-მ, რომელმაც სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმისა და წარმოების შეწყვეტის შესახებ გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ განჩინება კანონსაწინააღმდეგო და დაუსაბუთებელია და უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო: სარჩელის დაუშვებლობის ძირითადი საფუძველი გახდა ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის განხორციელების სავალდებულობა და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 62-ე მუხლის მოთხოვნა.

კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ სასარჩელო მოთხოვნის საგანს წარმოადგენდა ორი ე.წ. ადმინისტრაციული აქტის - 2015 წლის NXXXXXX სამართალდარღვევის ოქმისა და ამავე თარიღის ზედამხედველობის სამსახურის NX დადგენილების ბათილად ცნობა. სასამართლომ იმსჯელა მხოლოდ დადგენილებაზე.



კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ არ გამოუყენებია ადმინისტრაციული აქტების ერთჯერადი გასაჩივრების შესაძლებლობა რამდენიმე ობიექტური მიზეზების გამო, კერძოდ, ამავე საქმეზე ამავე სასამართლოს 2015 წლის 08 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გაუქმდა მოპასუხე - ახალციხის მერის მითითება უკანონო მშენებლობის შეჩერებისა და დემონტაჟის შესახებ, რომელიც კანონიერ ძალაშია შესული და იგი მხარეს არ გაუსაჩივრებია. ამ საქმეში დასაბუთებულია, რომ უშუალოდ ქალაქის მერია დაინტერესებული **თ. თ.-ს** წინააღმდეგ და ეს აშკარად განაცხადა სასამართლო სხდომაზე წარმომადგენელმა.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, წინა საქმის არსიდან გამომდინარე, აშკარად ჩანდა რომ ქალაქის მერი, თუ იგი განიხილავდა საჩივარს (რაც არ ხდება), უეჭველად **თ. თ.-ს** საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას მიიღებდა. ახალციხის მერიას ცალკე ადმინისტრაციული საქმეების განხილვის სამსახური - კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო, არ გააჩნია და ის თანამშრომლები, რომლებიც უკვე მონაწილეობდნენ ადმინისტრაციული აქტების შედგენა-განხილვაში, ინტერესთა კონფლიქტისა და კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ვეღარ მიიღებდნენ მონაწილეობას საჩივრის განხილვაში. კანონი ითვალისწინებს იურიდიულად და სამართლებრივად სრულყოფილი ადმინისტრაციული აქტის ერთჯერადად გასაჩივრებას, ხოლო მოცემულ შემთხვევაში არცერთი აქტი არ ყოფილა სამართლებრივად სრულყოფილი და ადმინისტრაციული აქტის სტატუსის შესაფერისი.

თ. თ. დაჯარიმებულია „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 43-ე მუხლის საფუძველზე 3000 ლარით. ოქმი არ შეიცავს დამრღვევის უფლებების განმარტებას და არაა მითითებული გასაჩივრების ადგილი და ვადა. გაურკვეველია ოქმის შედგენის სამართლებრივი საფუძველი. ასევე, ანალოგიური ოქმის შედგენას არც „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“ არ ითვალისწინებს. რაც შეეხება 2015 წლის 2 დეკემბრის **NX** დადგენილებას, იგი არ შეიცავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლით დადგენილ სავალდებულო რეკვიზიტებს. გაურკვეველია რა სამართლებრივ საფუძველზე მოხდა 2015 წლის 02 დეკემბრის სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის სხდომის მოწვევა. „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“ ითვალისწინებს ჯერ დამრღვევის მიმართ მითითების გაცემას, რაც არ არსებობს, შემდგომ შემოწმების აქტის შედგენას და მომდევნო ეტაპზე დამრღვევის დადგენილებით დაჯარიმებას. მითითებული კანონის 25-ე მუხლის მე-15 პუნქტში ამომწურავადაა მითითებული ამ ადმინისტრაციული აქტის შინაარსი და სავალდებულო რეკვიზიტები, რაც არ ყოფილა დაცული. ამ თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის აქტები არ შეიძლება გასაჩივრებულიყო მერთან და მხოლოდ სასამართლოს შეეძლო ემსჯელა იყო თუ არა ისინი ადმინისტრაციული აქტები და მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილება.



კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ სასამართლომ საერთოდ ყურადღება არ მიაქცია არც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის კანონიერებას და ფორმას და არც დადგენლების ფორმასა და შინაარსს, მისი კანონთან შესაბამისობისა და სამშენებლო საქმეზე ადმინისტრაციული საქმის წარმოებისათვის კანონით დადგენილი წესის ელემენტარულ დაცვას. დარღვეული იქნა ადმინისტრაციული წარმოების ყველა ფორმა. 7 დეკემბერს თ. თ.-მ მოითხოვა ადმინისტრაციული წარმოების საქმის სრული ასლები, რაზედაც 30 დეკემბერს მიიღო წერილობითი პასუხი მერის ხელმოწერით, რომ მას გააჩნდა ასეთი მასალები და დამატებით ქსეროასლის მისაღებად უნდა გადაეხადა თანხა. ეს მასალები თ. თ.-ს დღემდე არ გადასცემია და სრულიად უსაფუძვლოა გასაჩივრების ვადის 02 დეკემბრიდან ათვლა. თ. თ.-ს არ ჩაბარებია ზედამხედველობის სამსახურის 02 დეკემბრის N X დადგენილება. იგი მხოლოდ პროექტის სახით და ხელმოუწერელი გადაეცა. განჩინების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებისას არ იყო გარკვეული ბაჟისა და დარღვეული უფლების აღდგენის წესისა და შესაძლებლობის საკითხი.

გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების დასაბუთება:

სააპელაციო სასამართლომ შეისწავლა და გაანალიზა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძვლიანობა, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ხოლო, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) სააპელაციო საჩივრის (კერძო საჩივრის) ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას, სასამართლო ხელმძღვანელობს სსსკ-ის 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.



მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე დაყრდნობით, იზიარებს რა სრულად პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და ნაწილობრივ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, დამატებით აღნიშნავს:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიმძას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს შესაბამისად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გაცნობიდან, ასევე ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გამოტანისათვის დადგენილი ვადის გასვლიდან 1 თვის ვადაში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 62-ე მუხლი ადგენს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების წესებს. მითითებული მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გამგეობის/მერიის თანამდებობის პირის, გარდა მუნიციპალიტეტის გამგებლისა/მერიისა, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საჩივრდება გამგებელთან/მერთან და შემდგომ – სასამართლოში კანონით დადგენილი წესით.

საქართველოს კანონის პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25-ე მუხლის 22-ე პუნქტის პირველი წინადადების თანახმად, სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მიერ მიღებული დადგენილება (ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი) შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან 15 დღის განმავლობაში.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა, არ მიიღებს სარჩელს ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, თუ მოსარჩელემ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით არ გამოიყენა ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა.

დადგენილია, რომ ახალციხის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2015 წლის 02 დეკემბრის NXXXXXX გასაჩივრებული ოქმის თანახმად, სამართალდამრღვევად იქნა ცნობილი თ. თ. და ამავე სამსახურის უფროსის ნ. ს.-ს 2015 წლის 02 დეკემბრის NX განკარგულებით იგი დაჯარიმდა 3000 ლარით. ამავე დადგენილებით, მოსარჩელე მხარეს განემარტა ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში - ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერთან მისი გასაჩივრების წესი და ვადა, შესაბამისად, თ. თ.



ვალდებული იყო, სასამართლოში სარჩელის აღძვრამდე, ზედამხედველობის სამსახურის 2015 წლის 02 დეკემბრის NX განკარგულების, როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ ადმინისტრაციული საჩივრით მიემართა ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოსათვის (ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად.

საქმის მასალების თანახმად, კერძო საჩივრის ავტორს ზედამხედველობის სამსახურის 2015 წლის 02 დეკემბრის NX განკარგულების ბათილად ცნობის შესახებ ადმინისტრაციული საჩივრით ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოსათვის არ მიუმართავს. ამასთან, საჩივრის ავტორი თავად აღიარებს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში საჩივრის წარუდგენლობის ფაქტსა და განმარტავს შესაბამის მიზეზებს. აღნიშნული გარემოება კი ცალსახად წარმოადგენს წინამდებარე საქმეზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების შეწყვეტის საფუძველს. კერძო საჩივრის ავტორის არგუმენტაცია ზემდგომ ადმინისტრაციული ორგანოში საჩივრის წარუდგენლობის მიზეზების თაობაზე, არ წარმოადგენს ისეთი სახის საფუძველს, რომელიც საპელაციო სასამართლოს მისცემდა შესაძლებლობას ემსჯელა კერძო საჩივრის დასაბუთებულობისა და სამართლებრივ ჭრილში მისი პერსპექტივის თაობაზე. შესაბამისად, არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

პალატა დამატებით მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ კანონით დადგენილი - ადმინისტრაციული საჩივრით ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვის ვალდებულება, ნიშნავს ადმინისტრაციულ წარმოებას ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით, რაც გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების გადამოწმებას, რა დროსაც ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო წარმოადგენს დაინტერესებული პირის სამართლებრივი მდგომარეობის დაცვისა და აღდგენის უზრუნველყოფის გარანტს, მითუფრო იმ პირობებში, თუ დადგინდა, რომ ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან საჩივრის ავტორის მიმართ ადგილი ჰქონდა უკანონო მმართველობით ღონისძიებას. ამრიგად, ზემდგომი ადმინისტრაციულ ორგანოსათვის საჩივრით მიმართვის ვალდებულების შეუსრულებლობა არ შეიძლება დამოკიდებული იქნეს საჩივრის ავტორის ინდივიდუალურ, სუბიექტურ მოსაზრებასა და საჩივრის განხილვის შედეგის მიმართ მის უიმედო განწყობაზე/მოლოდინზე.

რაც შეეხება კერძო საჩივრის ავტორის მითითებას იმ გარემოებებზე, რომ სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის კანონიერებას, ფორმას, შინაარსს და, რომ გასაჩივრებული აქტების გამოცემისას დარღვეული იქნა ადმინისტრაციული წარმოების ყველა ფორმა, პალატა განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებისა და მისი



ბათილად ცნობის თაობაზე სასამართლო მსჯელობს საქმის არსებითად განხილვის დროს, იმ ეტაპზე, როდესაც სარჩელს გადაღებული აქვს დასაშვებობის სტადია. შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთებულობა და საფუძვლიანობა სარჩელზე არსებითად მსჯელობის საგანია.

სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებული განჩინების კერძო საჩივრის ფარგლებში შემოწმების შედეგად ასკვნის, რომ კერძო საჩივრის პრეტენზია დაუსაბუთებელია, ვინაიდან სახეზე არაა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული საფუძვლები, რის გამოც უცვლელად უნდა დარჩეს ახალციხის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 30 დეკემბრის განჩინება.

პალატა ასევე აღნიშნავს, რომ კერძო საჩივრის თაობაზე მიღებული წინამდებარე განჩინების ფარგლებში მსჯელობს თ. თ.-ს წარმომადგენლის მ. ქ.-ს მიერ სააპელაციო სასამართლოში წარმოდგენილი განცხადებების თაობაზე, კერძოდ განმცხადებელი NX/XXX განცხადებით განმარტავს, რომ წინამდებარე საქმეზე წარდგენილი სარჩელის ფარგლებში, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების შემდგომ, ახალციხის მერიამ ისარგებლა მიღებული განჩინებით და ა.წ. 27 იანვარს, აღმასრულებელმა წინადადება გადასცა თ. თ.-ს გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღსრულების შესახებ. განმცხადებლის განმარტებით, აღსრულების სისრულეში მოყვანის შემთხვევაში უხეშად დაირღვევა თ. თ.-ს კონსტიტუციური უფლებები და მიადგება დამატებითი ზარალი, რომლის ანაზღაურებას, კერძო საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ხანგძლივი პროცედურები დასჭირდება.

განმცხადებელი მიუთითებს, რომ ვინაიდან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისათვის უფლებამოსილი ორგანოს მოქმედებაზე წარდგენილია საჩივარი, შესაბამისად ითხოვს საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ 36-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე შეჩერდეს აღსრულება კერძო საჩივარზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

თ. თ.-ს წარმომადგენლის მ. ქ.-ს NX/XXX განცხადების თანახმად, განმცხადებელი მიუთითებს, რომ გასაჩივრებული განჩინების შემდეგ, კანონით დადგენილ 15 დღიან ვადაში წარადგინა განცხადება ვადის აღდგენის შესახებ ადმინისტრაციულ საჩივართან ერთად, რაზედაც ახალციხის მერიამ უარი განაცხადა. განმცხადებელი განმარტავს, რომ ახალციხის რაიონულ სასამართლოში წარდგენილია სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით. ახალციხის მერიამ უკანონოდ დადებული ადმინისტრაციული სახდელის 3000 ლარის ჯარიმის აღსრულების მიზნით მიმართა სააღსრულებო ბიუროს, რაც კიდევ უფრო დაამძიმებს თ. თ.-ს მდგომარეობას.



მითითებული განცხადებების თაობაზე პალატა განმარტავს, რომ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება წარმოადგენს კონკრეტულ საქმეზე განხორციელებულ საპროცესო მოქმედებას, რომელიც მიზნად ისახავს ამ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების დაბრკოლების თავიდან აცილებას, იგი მიიღება კონკრეტული სასარჩელო მოთხოვნის ხასიათის გათვალისწინებით და ამ მოთხოვნის ადეკვატურია.

იმ შემთხვევაში, როდესაც კონკრეტული დავის ფარგლებში გამოყენებულია უზრუნველყოფის რომელიმე ღონისძიება, კანონი ადგენს მისი გაუქმების პირობებს. კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹ მუხლის თანახმად, სარჩელის მიღებაზე, მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინებით უნდა გაუქმდეს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის არსისა და დანიშნულების გათვალისწინებით, სარჩელის დაუშვებლობის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის, კერძო საჩივრის განმხილველი სასამართლოს მიერ კერძო საჩივრის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და გასაჩივრებული განჩინების ძალაში დატოვების პირობებში, რაიმე სახის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გამოიყენება მხოლოდ კონკრეტულ სარჩელზე მიღებული გადაწყვეტილების უზრუნველსაყოფად და ისიც იმ შემთხვევაში, როდესაც სარჩელის დაკმაყოფილების პერსპექტივა, იმ დროისათვის წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, ასე თუ ისე ხელშესახებია. განსახილველ შემთხვევაში, აღნიშნულ ეტაპზე - სარჩელის დაუშვებლობის გამო წარმოების შეწყვეტის განჩინების კანონიერების შემოწმებისას, პალატა ვერ იმსჯელებს უზრუნველყოფის გამოყენების საკითხზე იმდენად, რამდენადაც სადავოა არამართო სარჩელის საფუძვლიანობა და დასაბუთებულობა, რამაც გავლენა უნდა მოახდინოს უზრუნველყოფის გამოყენების საკითხის გადაწყვეტაზე, არამედ სადავოა თავად ამ სარჩელის დასაშვებობაც და მის დაუშვებლობას, ზემოთ მოყვანილი მსჯელობის თანახმად, ეთანხმება სააპელაციო პალატაც.

სასამართლო ასევე განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება წარმოადგენს მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების განხორციელების სწრაფ და ეფექტურ საპროცესო-სამართლებრივ გარანტიას. აღნიშნული ინსტიტუტის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ უფლებათა დაცვის უზრუნველყოფა ატარებს წინასწარ და დროებით ხასიათს და ხორციელდება დარღვეული ან სადავო უფლების შესახებ სასამართლოს არსებითი მსჯელობისაგან დამოუკიდებლად, მაგრამ იმ პირობებში, როდესაც სარჩელი მიღებულია წარმოებაში, ან ადგილი აქვს ისეთ შემთხვევას, როდესაც სარჩელის უზრუნველყოფა მოთხოვნილია სარჩელის აღძვრამდე. ასეთ შემთხვევებში,



სარჩელის დაკმაყოფილებისა და გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემთხვევაში გადაწყვეტილებით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის დადგომა დამოკიდებულია მოპასუხის ნებაზე. შესაბამისად, უზრუნველყოფის ღონისძიების გატარება მიმართულია მოპასუხის მიმართ, მასვე, შესაბამისი დროის პერიოდში, ეკისრება გარკვეული ქმედების/უმოქმედობის განხორციელება.

მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებელ ითხოვს ისეთი საკითხის გადაწყვეტას - აღსრულების შეჩერებას, რომელიც უშუალოდ სააღსრულებო ბიუროს ეხება და უკრძალავს მას სააღსრულებო მოქმედებების განხორციელებას; ეს უკანასკნელი კი, განსახილველ დავაში არ წარმოადგენს მოპასუხეს.

პალატა კერძო საჩივრის/განმცხადებლის ყურადღებას დამატებით მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ მის მიერ შესაძლებელია გამოყენებული იქნეს თუნდაც საერთო სასამართლოებში მიმდინარე ან მომავალში აღსაძრავი დავის ფარგლებში, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით მინიჭებული უზრუნველყოფის ღონისძიებები (მაგალითად, აქტის მოქმედების შეჩერება) და ამ გზით შეეცადოს მის მიერ დარღვეულად ნაგულები უფლებების აღდგენას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე არ გასაჩივრდება.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე -420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. თ. თ.-ს წარმომადგენლის მ. ქ.-ს კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ახალციხის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 30 დეკემბრის განჩინება;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მოსამართლე:

შოთა გეწაძე